სსკგ-ს თავმჯდომარე ყირგიზეთის რელიგიური და სახელმწიფო მოღვაწეთა დელეგაციას შეხვდა

2021 წლის 14 სექტემბერს, სსკგ-ს დიდ დარბაზში, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის შეხვედრა შედგა ყირგიზეთის რესპუბლიკის რელიგიური და სახელმწიფო მოღვაწეების დელეგაციასთან.

ყირგიზეთის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი კუდაიბერგენ ბაზარბაევი; ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის რელიგიის საქმეთა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ექსპერტი, ზამირ ტურსუნბეკოვი; რელიგიის საკითხთა სახელმწიფო კომისიის დირექტორი ტოიგონბაი აბდიკაროვი; მისი მოადგილე ზამირ კოჟომბერდიევი; ყირგიზეთის რესპუბლიკის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო კომისიის დირექტორის თანაშემწე ბაკიტ საადაბაევი; ყირგიზეთის

მუფთი ზამირი რაკიევი; მუსულმანური სამმართველოს წარმომადგენელი სუიუნბეკ ჟუსუბალიევი; მუფთის თანაშემწე ასან სირგაბაევი; ყირგიზეთის რესპუბლიკის დუმის ულემის საბჭოს წევრები ფარჰატ იუსუპოვი და აბდიშუქურ ნარმატოვი; ჯალალ-აბადის რეგიონის ყაზი (მოსამართლე - რედ.) ნემატილა ჯენბეკოვი, ქ. ოშის ყაზი უბაიდულა სარიბაევი, ისიკის-ყულის რეგიონის ყაზი ალმაზ საგიკინდიკოვი, ქ. ბიშკეკის ყაზი ათაბაევ სამიდინი, ყირგიზეთის რესპუბლიკის ჰაჯისა და დუმის დეპარტამენტის უფროსი ჟოლდოშ აბდილდაევი.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა ბიშკეკისა და ყირგიზეთის ეპისკოპოსი დანიელი.

სსკგ-ს მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ: სსკგ-ს თავმჯდომარის მოადგილე არქიმანდრიტი ფილარეტი (ბულეკოვი); სსკგ-ს შორეული საზღვარგარეთის საქმეთა მდივანი დეკანოზი სერგი ზვონარიოვი.

საზოგადოებასთან და მასმედიასთან ეკლესიის ურთიერთობის სინოდალური განყოფილების მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვ. ყიფშიძე; სამთავრობო სტრუქტურებთან მუშაობის დეპარტამენტის უფროსი პ.ვ. ლებედევი, აღნიშნული ადმინისტრაციის თანამშრომელი დიაკონი ზაქარია ბეგდაში.

მიტროპოლიტმა ილარიონმა სტუმრებთან მისალმებისას ისაუბრა საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების შესახებ – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უძველეს სინოდალურ დაწესებულებაზე, რომელმაც წელს თავისი 75 წლის იუბილე აღნიშნა: „სსკგ-ს ძირითადი ამოცანები – ეს კონტაქტების დამყარებაა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და გარე სამყაროს შორის, ანუ კათოლიკურ, პროტესტანტულ ეკლესიებთან, მუსულმანურ და სხვა რელიგიურ თემებთან, საზღვარგარეთ ჩვენს თანამემამულეებთან, უცხო სახელმწიფოებთან. ზოგჯერ ჩვენ გვეძახიან „საგარეო საეკლესიო საქმეთა სამინისტროს“, რაც საკმაოდ შეესაბამება ჩვენი საქმიანობის სპეციფიკას“.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მრავალი წლის მანძილზე დიალოგს აწარმოებს ისლამურ სამყაროსთან და ეს დიალოგი ძალიან მრავალფეროვანია, აღნიშნა მიტროპოლიტმა ილარიონმა: „ჩვენ გვაქვს პირდაპირი კონტაქტები ისეთ გლობალურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია და მსოფლიო ისლამური ლიგა. ჩვენ ასევე გვაქვს მრავალრიცხოვანი კონტაქტები რეგიონულ მუსულმანურ ორგანიზაციებთან. ჩვენ მოხარული ვიქნებით, განვავითაროთ თანამშრომლობა ყირგიზეთის მუსულმანთა სულიერ სამმართველოსთან“.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის რელიგიათაშორის საბჭოში მონაწილეობს – ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რელიგიათშორისი დიალოგის განმტკიცებისა და განვითარების ხელშეწყობისთვის. „მე ვფიქრობ, რომ ამ დიალოგში ჩვენ დიდ წარმატებას მივაღწიეთ“, – აღნიშნა მეუფე ილარიონმა.

როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ასევე მუსულმანები საერთო გამოწვევების წინაშე დგანან, რომელთაგან ერთ-ერთი COVID-19 არის, აღნიშნა სსკგ-ს მეთაურმა. კიდევ ერთი საერთო გამოწვევა – ეს არის ექსტრემიზმის და რადიკალიზმის საფრთხეა. „ბოლო დროს, ავღანეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ეს საფრთხე გაიზარდა. ამ სიტუაციაში ტრადიციული აღმსარებლობის ლიდერებს ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა, რადგან ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩვენი სამწყსო სიყვარულის სულისკვეთებით და გავაკეთოთ ყველაფერი შესაძლებელი ისე, რომ ექსტრემისტულმა იდეოლოგიამ ვერ ჰპოვოს კეთილსასურველი ნიადაგი ჩვენს რელიგიურ საზოგადოებებში“, – აღნიშნა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

მეუფემ ასევე ილაპარაკა ახალგაზრდებთან რელიგიათაშორისი თანამშრომლობისა და ერთობლივი მუშაობის განვითარების მნიშვნელობაზე: „თუ კორონავირუსული ინფექციის გამოწვევის წინაშე ყველაზე დაუცველი ჯგუფი – ხანდაზმულები არიან, ექსტრემისტული ინფექციის გამოწვევის წინაშე ყველაზე დაუცველი ჯგუფი –სამწუხაროდ, ახალგაზრდობაა“.

„ექსტრემისტები ხანდახან იყენებენ ხალხის რელიგიურ გრძნობებს, რადგან ექსტრემიზმი ძალიან ხშირად ჩაცმულია რელიგიურ ტანსაცმელში, ექსტრემისტები და ტერორისტები მოქმედებენ ვითომდა რელიგიური იდეალების სახელით, თუმცა ჩვენ ყველას გვესმის, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო რელიგიასთან“, – გამოკვეთილად თქვა სსკგ-ს თავმჯდომარემ.

მისი თქმით, ახალგაზრდებთან რელიგიური მუშაობა შეიძლება ერთობლივად ჩატარდეს; რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ამის გამოცდილება აქვს. „ჩვენ გავგზავნეთ ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები ისლამურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში – ერთი კვირით, ორი კვირით – არა უბრალოდ, რომ მოესმინათ რაიმე კურსი, არამედ იმისთვის, რომ მათ შორის ეცხოვრათ, ისლამური სასწავლებლების სტუდენტებთან არაფორმალურ გარემოში ჰქონოდათ ურთიერთობა, – თქვა მიტროპოლიტმა ილარიონმა. – მე ვხელმძღვანელობ ზოგადსაეკლესიო ასპირანტურასა და დოქტურანტურას – ეს არის რუსეთის მართლმადიდებლი ეკლესიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ჩვენ სტუდენტების მთელი ჯგუფი გავგზავნეთ ბულგარეთის ისლამურ აკადემიაში თათარსტანში, სადაც ისინი თითქმის ორი კვირა ცხოვრობდნენ და ძალიან ნათელი შთაბეჭდილებებით ჩამოვიდნენ; შემდეგ ჩვენ მივიღეთ სტუდენტები ბულგარეთის ისლამური აკადემიიდან“.

„რელიგიური კონფესიები – ეს ის ძალებია, რომლებსაც შეუძლიათ ხალხის გაერთიანება კონფესიათაშორისო, რეგიონთაშორისო და საერთაშორისო დონეზე“ – აღნიშნა მიტროპოლიტმა ილარიონმა, და გამოთქვა იმედი, რომ რუსეთსა და ყირგიზეთს შორის თანამშრომლობა შემდგომშიც განაგრძობს თავის განვითარებას, მათ შორის, რელიგიურ სფეროშიც.

შემდგეგ სიტყვით გამოვიდა ყირგიზეთის რესპუბლიკის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო კომისიის დირექტორი ტოიგონბაი აბდიკაროვი, რომელმაც მადლობა გადაუხადა სსკგ-ს თავმჯდომარეს თბილი შეხვედრისთვის და ისაუბრა ყირგიზეთის რესპუბლიკასა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შორის თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით აღნიშნა ამ პროცესში ბიშკეკისა და ყირგიზეთის ეპისკოპოსი დანიელის წვლილი. ტოიგონბაი აბდიკაროვმა აღუთქვა, რომ კომისია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ბიშკეკისა და ყირგიზეთის ეპარქიასთან თანამშრომლობას ყოველმხრივ დაუჭერს მხარს.

საზოგადოებასთან და მედიასთან ეკლესიის ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვ. ყიფშიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა ბიძგს მისცემს საინფორმაციო სფეროში ურთიერთმოქმედებას, რათა მნიშვნელოვანმა პოზიტიურმა ამბებმა ეკლესიასა და სახელმწიფოს და ეკლესიასა და საზოგადოების ურთიერთობების სფეროდან, რუსეთის ეკლესიის სოციალური მუშაობის სფეროდან, ყირგიზეთის რესპუბლიკის რუსულენოვან სივრცეში ფართო გავრცელება ჰპოვოს. „ჩვენ ამაში ვხედავთ რელიგიათა და ეროვნებათა შორის მშვიდობის, თანხმობის და ურთიერთობების განმტკიცების გარკვეულ საშუალებას“.

შემდეგ გამოვიდა ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან ურთიერთობის განყოფილების გამგე კუდაიბერგენ ბაზარბაევი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ბიშკეკისა და ყირგიზეთის ეპისკოპოს დანიელის საქმიანობას ყირგიზეთში რელიგიათაშორისი თანამშრომლობისა და თანხმობის განმტკიცების საქმეში

ბიშკეკისა და ყირგიზეთის ეპისკოპოსმა დანიელმა თავის გამოსვლაში ისაუბრა ყირგიზეთში მართლმადიდებლური და ისლამური დიალოგის პოზიტიურ ტენდენციებზე.

ყირგიზეთის მუსულმანთა მუფთმა ზამირ რაკიევმა მადლობა გადაუხადა მიტროპოლიტ ილარიონს თბილი მიღებისთვის, ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში დიდი წვლილისა და კეთილი თანამშრომლობისთვის.

ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა კუდაიბერგენ ბაზარბაევმა მიტროპოლიტ ილარიონს სამახსოვრო საჩუქარი მიართვა.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88030/